საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ

2018

27.08.2019

www.geostat.ge

27.08.2019

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევა

(2018 წელი)

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2018 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 1 541 ეკონომიკური სუბიექტი[1] , რომლებიც ფლობდნენ 1 639 სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებას (ადგილობრივი ერთეულებისა და ფილიალების ჩათვლით). აღნიშნული მაჩვენებელი 2.8 პროცენტით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მონაცემს.

სასტუმროს მომსახურებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა შეზღუდული პასუხის-მგებლობის საზოგადოება, რომელიც მოიცავდა 2018 წელს მოქმედი სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო რაოდენობის 58.3 პროცენტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით.

დიაგრამა №1

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 2018 წელს



[1]საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები.

სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების 99.1 პროცენტი კერძო საკუთრებაში იყო, ხოლო 0.9 პროცენტი - სახელმწიფო საკუთრებაში.

2018 წელს საქართველოში მოქმედი სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო ფართობი 1 927.9 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენდა, რაც 7.7 პროცენტით აღემატება 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს. აქედან იჯარით გაცემული იყო 70.5 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო ყველა ნომრის საცხოვრებელი ფართობი 958.6 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენდა, რაც 8.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2018 წელს მოქმედ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ადგილების საერთო რაოდენობამ 72.6 ათასი შეადგინა, რაც 8.6 პროცენტით აღემატება 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ნომრების საერთო რაოდენობა გაიზარდა 8.2 პროცენტით და 33.2 ათასს გაუტოლდა.

(ცხრილი №1)

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში არსებული ნომრების რაოდენობის განაწილება ნომრების კატეგორიების მიხედვით 2017-2018 წლებში

	2017 წელი	2018 წელი
ლუქსი	3 029	3 491
ერთადგილიანი	4 007	4 021
ორადგილიანი	17 543	18 795
სამ და მეტ ადგილიანი	6 078	6 879
სულ	**30 657**	**33 186**

2018 წელს საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 3 666.1 ათას სტუმარს მოემსახურა, რაც 8.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. სტუმართა 71.3 პროცენტს უცხოელები წარმოადგენდნენ. მათგან 19.7 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იყვნენ, რაც 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს 29.4 პროცენტით აღემატება. ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა უმეტესობას გერმანიისა (23.2 პროცენტი) და პოლონეთის (19.5 პროცენტი) მოქალაქეები შეადგენდნენ, ხოლო სხვა ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა უდიდესი წილი თურქეთისა (20.9 პროცენტი) და ისრაელის (18.8 პროცენტი) მოქალაქეებს ეკავათ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2017-2018 წლებში სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილებას ქვეყნების მიხედვით.

დიაგრამა №2

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით 2017-2018 წლებში



2018 წელს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებს უმეტესად სტუმრობდნენ რეკრეაციისა და დასვენების მიზნით (77.7 პროცენტი).

(ცხრილი №2)

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების განაწილება სტუმრობის მიზნის მიხედვით 2018 წელს, ათასი

	რაოდენობა	%
რეკრეაცია და დასვენება	2 032.3	77.7
საქმიანი და პროფესიული	293.4	11.2
მკურნალობა	18.1	0.7
სხვა მიზანი	271.4	10.4
სულ	**2 615.2**	**100.0**

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში რეკრეაციისა და დასვენების მიზნით განთავსებული უცხოელი სტუმრების უმეტესობა რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის მოქალაქეს წარმოადგენდა (შესაბამისად, 20.7 და 11.2 პროცენტი). აღნიშნული მიზნით სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში განთავსებული უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილებას ქვეყნების მიხედვით ასახავს ქვემოთ მოცემული დიაგრამა.

დიაგრამა №3

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში რეკრეაციისა და დასვენების მიზნით განთავსებული უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით 2018 წელს



2018 წელს საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებული იყო 19 261 ადამიანი, რომელთა უმეტესობას (57.6 პროცენტი) ქალები წარმოადგენდნენ.

დიაგრამა №4

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა 2017-2018 წლებში



საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge